



შპს ჰავი ლოკისტიკს

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნები

2022 წელი



შინაარსი

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება	3
2022 ფინანსური წლის მმართველობის ანგარიში.....	i
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	12
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	13
დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე.....	13
დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე	15
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	16
სრული შემოსავლის ანგარიშგება	17
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	18
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	19
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	20

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2022 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „ჰავი ლოჯისტიკს“-ის ხელმძღვანელობის მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ქ.-ნი თამთა ოსაძე _____	14 დეკ., 2023 წ.

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2022 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „ჰავი ლოჯისტიკს“-ის ხელმძღვანელობის მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ქ.-ნი თამთა ოსაძე 	14 დეკ., 2023 წ.





მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

შპს ჰავი ლოჯისტიკს



კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა და ისტორია

HAVI ლოჯისტიკი წარმოადგენს მაღალი რეპუტაციის მქონე, სანდო საერთაშორისო კომპანიას, რომელიც კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურების მიწოდების ფართო სპექტრს მსოფლიო მასშტაბით.

მიწოდების ჯაჭვი ხორციელდება „one-stop shopping“ კონცეფციის მიხედვით. შესაბამისად, საქონლის ფიზიკური გადაადგილებისა და ლოჯისტიკის შესაბამისი სერვისების ერთობლიობის გარდა ასევე მოიცავს ფინანსური და საინფორმაციო ნაკადების კოორდინაციას მიწოდების ჯაჭვთან მიმართებაში, დაწყებული აიტი მომსახურებით დამთავრებული ციფრული მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტებით.

HAVI დაარსდა 1974 წელს ჩიკაგოში, ილინოისის შტატში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კომპანიას დასაქმებული ყავს 10 000-ზე მეტი თანამშრომელი და ემსახურება მომხმარებელს 45-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიისთვის ყველაზე მსხვილ კლიენტად კვლავ რჩება მაკდონალდსის რესტორნების ქსელი, რომლის ტვირთბუნვის 2/3-ს ჰავი უზრუნველყოფს. .

Havi საქართველო თბილისში დარეგისტრირდა, 2019 წლის სექტემბერში, როგორც შუღლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად. კომპანიას აკონტროლებს HAVI Global Logistics GmbH, რომელიც დაფუძნებულია გერმანიაში, ქ.დუისბურგში და რომელიც კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს.

2020 წლის 3 იანვარს HAVI საქართველომ ხელშეკრულება გააფორმა შპს „თ და კ რესტორნებ“-თან რომელიც მაკდონალდსის კორპორაციის ფრენჩაიზის ხელშეკრულებით ოპერირებს. ამჟამად ჰავი უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით მაკდონალდსის 20 რესტორნის მომარაგებას საჭირო ნედლეულის შესყიდვით, დასაწყობებით და მიწოდებით თითოეულ ლოკაციაზე. ჰავის აქვს დიდი გამოცდილება უზრუნველყოს ტემპერატურულ კონტროლირებადი ლოჯისტიკა. კომპანია მოწინავეა ქართულ ბაზარზე, რომელიც HACCP სტანდარტებით ხელმძღვანელობს. HAVI ხარისხობრივ დარგში აუდირებულია კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ და შესაბამისად ამართლებს კლიენტის მოლოდინებს უმაღლესი შეფასებით .

Havi წარმოადგენს კომპანიას, რომელიც აკავშირებს ადამიანებს იდეებთან, მონაცემებს ინფორმაციასთან, მიწოდებას მოთხოვნასთან, რესტორნებს მომწოდებლებთან და საბოლოოდ ადამიანებს იმ პროდუქტთან, რომელიც მათ უყვართ.

კომპანიის ლოჯისტიკური ცენტრი მდებარეობს თბილისში, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ლილო, ლოჭინის ველი, ნაკვეთი 005/01.



Who We Are

Our Purpose

We reimagine the connections between people and products to create a better future.

Our Mission

Deliver the Promise

We promise our customers...

To earn your long-term trust through thought leadership, focus on customer value and by always doing what we say and saying what we do

We promise our people...

To provide an environment that enables you to unlock your own promise and potential

We promise our suppliers/partners...

To partner with you to serve the customer and ensure our long-term, mutual success

We **deliver the promise** by putting social and environmental responsibility at the heart of our business and always doing what we say we will.

- We promise our **customers** to partner in inspiring, designing and delivering solutions they need to be successful.
- We promise our **people** to provide an equitable and inclusive workplace that enables them to unlock their full potential and thrive.
- We promise our **suppliers/partners** to collaborate in building solutions that deliver mutual benefit.

Together, we'll make the moments we create every day matter even more.

ორგანიზაციული სტრუქტურა - შიდა გუნდი

ჰავი საქართველო ლოკალურ დონეზე მოიცავს ყველა იმ დეპარტამენტს, რომელიც კომპანიას სწორი ოპერირებისათვის ესაჭიროება. მენეჯმენტმა ჩამოაყალიბა ჯანსაღი პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის შესაბამის კვალიფიკაციის ამაღლებას, სამუშაოსთან დაკავშირებულ ტრენინგებს და სწავლებებს. კომპანიაში ასევე მოქმედებს ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის. აღნიშნული შინაგანაწესი განიხილავს სამუშაო პროცესის ქცევით და ეთიკურ საკითხებს.

ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია სხვადასხვა დეპარტამენტებით:

- მიწოდების ჯაჭვი
- საოპერაციო
- ფინანსები
- კლიენტთა მომსახურება
- IT მომსახურება
- HR (ადამიანური რესურსები)
- შესყიდვები

ურთიერთობა აქციონერებთან და საგადასახადო ორგანოებთან:

კომპანიას აქვს კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური დეპარტამენტი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. ეს, ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ეფექტურ პოლიტიკასა და პროცედურებთან ერთად, საშუალებას აძლევს კომპანიას მიაწოდოს დროული და ხარისხიანი ანგარიშგება ყველა დაინტერესებულ მხარეს: დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს, საგადასახადო ორგანოებს. კომპანიას არ აქვს დავების ისტორია საგადასახადო ორგანოებთან და მნიშვნელოვანი ჯარიმები.

განხორციელებული პროექტები

2019 წლის მაისში, გლობალურმა/საერთაშორისო კომპანიამ HAVI კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ხელი მოაწერა მეცნიერებაზე დაფუძნებულ ინიციატივას (SBTi), ჩაერთო მნიშვნელოვან პროექტში რაც გარემოს დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს. როგორც SBTi-ს წევრმა, ოფიციალურად ავიღეთ ვალდებულება 2030 წლისთვის შევამციროთ ატმოსფეროში ნახშირბადის ემისია 40%-ით. რა თქმა უნდა, ვერც ერთი ბიზნესი ვერ შეაჩერებს კლიმატის ცვლილებას, თუმცა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ფოტოელექტრული სისტემის დახმარებით მნიშვნელოვან წვლის შევიტანთ გარემოს დაცვის ღონისძიებებში.

2019 წლის ბოლოსთვის HAVI-ის ემისიები თითქმის 10%-ით შემცირდა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი მიზნისაკენ შევამციროთ ემისიები 40%-ით 2030 წლისთვის.


HAVI Georgia შეუერთდა GREEN HAVI-ს ინიციატივას მზის პანელის პროექტის განხორციელებით, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, ჩვენი წვლილი შევიტანოთ უკეთესი და მეტად ჯანსაღი გარემოს შექმნაში.

განვითარებასა და ზრდასთან ერთად ჰავიმ მაკდონალდს საქართველოსთან ერთად განახორციელა საწყობის ოპტიმიზაციის პროექტი, რომელიც საწყობისა და მარაგების ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს .

HAVI პირველი კომპანიაა ქართულ ბაზარზე, რომელმაც მიიღო AEO (ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის) სტატუსი. რაც გულისხმობს სანდო ბიზნეს პარტნიორად აღიარებას; საბაჟო და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას; ნაკლებ დაგვიანებულ გადაზიდვებს; გაუმჯობესებულ დაგეგმვას, მომხმარებელთა მომსახურებას და ლოიალობას; მომწოდებლების შემოწმების/ინსპექტირების ხარჯების შემცირებას. გარდა ამისა გვაქვს შესაძლებლობა ვისარგებლოთ შემდეგი უპირატესობებით:

- ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლი
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბენეფიტები
- სხვა საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული უპირატესობები

- წინასწარი შეტყობინება ფიზიკური კონტროლისთვის შერჩევის შემთხვევაში (დაცულობასთან დაკავშირებული ბენეფიტები)
- წინასწარი შეტყობინება საბაჟო კონტროლის შემთხვევაში (დაკავშირებულია სხვა საბაჟო კანონმდებლობასთან)
- პრიორიტეტული მოპყრობა კონტროლისთვის შერჩევის შემთხვევაში
- საბაჟო კონტროლისთვის კონკრეტული ადგილის მოთხოვნის შესაძლებლობა



შრომითი გარემო და უსაფრთხოება:

Havi-ს მთავარი კონცეფციაა: **Each person matters** (თითოეული ადამიანი მნიშვნელოვანია). კომპანია უდიდეს როლს ანიჭებს თანამშრომლების წარმატებას და მოტივაციას, ამისათვის კი კ განსაზღვრული აქვს კონკრეტული განვითარების გეგმა გუნდის წევრებისთვის, წინასწარ ისახება მიზნები და შერულების პროცენტობრივი მაჩვენებლები, რომლის მისაღწევად კომპანია რეგულარულად უტარებს ტრენინგებს, როგორც ადგილობრივად, ასევე უცხოელი კოლეგების კურატორობით, თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტიპის კონფერენციებში, ეტაპობრივად ხდება შეძენილი ცოდნის და გამოცდილების ტესტირების გზით გადამოწმება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კიბერუსაფრთხოების ნორმების დაცვას.



კომპანია ასევე მკაცრად იცავს იმ შრომით უსაფრთხოების ნორმებს და მოთხოვნებს, რომელიც უკვე საკონონმდებლო ბაზის სახით ჩამოყალიბდა და ხდება მისი მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან.

კომპანიის განვითარების გეგმები

საქართველოს ოფისი წინა წლებში იყო ევრაზიის კლასტერის ერთ-ერთი წევრი, რომლის შემადგენლობაში საქართველოს გარდა შედიოდა: რუსეთის, ბელორუსიის და ყაზახეთის ჰავის ფილიალები.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, მას შემდეგ რაც ჰავიმ დატოვა რუსეთის ბაზარი, იგეგმება საქართველოს ოფისის ინტეგრირება ბალკანეთის კლასტერთან, რაც გულისხმობს ევროპული გამოცდილების დანერგვას და ადაპტირებას სხვადასხვა

მიმართულებით, მხარდაჭერას ფინანსური, საოპერაციო, ადამიანური რესურსების, ციფრული ტექნოლოგიების კუთხით.

კომპანიის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად მოახდინოს ახალი სისტემების, საოპერაციო პროცესების დანერგვა და ადაპტირება ახალ რეალობაში.

კომპანია გეგმავს დანერგოს ახალი სასაწყობე სისტემა - Cattela 1, Cattela 2, Ilos და ადაპტირებული 1C WH, 1C ERP ფინანსური პროგრამები.

უკრაინაში მიმდინარე ომის მიუხედავად, მაკდონალდს საქართველომ მოახერხა ეკონომიკური ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, იგეგმება 3 რესტორნის გახსნა, შესაბამისად გაიზრდება ტვირთბრუნვის მოცულობა რაც HAVI-ს მხრიდან დამატებითი ტექნიკურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. იგეგმება დამატებითი მისაბმელის შეძენა, რაც კომპანიას დაეხმარება დანახარჯის შემცირების გზით შეიმუშავოს ოპტიმალური მომარაგების მარშრუტები. კადრების გაფართოება კი საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ პროდუქტიულობა.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ:

2022 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი წილების შეძენა.

კომპანიის ძირითადი რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და შესაბამისად, მის მომგებიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი საომარი მდგომარეობა
- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
- კიბერუსაფრთხოება



კომპანიის ტვირთბრუნვის 80% მოდის იმპორტირებულ საქონელზე. რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ Havi საქართველომ შეაჩერა იმპორტი ამ ორი ქვეყნიდან და მთლიანად გადავიდა ევროპელ მომწოდებლებზე, რამაც გამოიწვია პროდუქციის და ტრანსპორტირების ფასების მნიშვნელოვანი გაზრდა. თავის მხრივ კი არასტაბილური ვალუტის კურსი მუდმივ გამოწვევად რჩება კომპანიისთვის, რომელიც ვაჭრობისა და სერვისის მომსახურებიდან შემოსავლების უდიდეს ნაწილს ეროვნული ვალუტით იღებს.

ინფორმაციული უსაფრთხოება კვლავ რჩება კომპანიის ერთ-ერთ რისკ ფაქტორად, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულად ხდება კომპანიის შიგნით არსებული ყველა მოწყობილობის მკაცრი მონიტორინგი, სისტემური განახლება და გუნდის წევრები რეგულარულად გადიან კიბერუსაფრთხოების ტრენინგებს.

მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები:

ფინანსური და საოპერაციო მონაცემების მიმოცვლა კომპანიაში ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. ჯვარედინი კონტროლის მექანიზმი. კონტროლის ერთ-ერთ მთავარი ელემენტებია:

- პერსონალის კონტროლი
- კორპორატიული მართვის კონტროლი
- უფლებამოსილების დელეგირების კონტროლი
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი
- სამუშაოს ხარისხის და შესრულების ვადის კონტროლი
- ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი
- IT სისტემისა და კონფიდენციალურობის კონტროლი
- რისკების აღმოჩენა და მათი მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

შპს „ჰავი ლოჯისტიკს“-ს საოპერაციო შემოსავალმა რეალიზაციიდან 2022 წელს შეადგინა 86 391 842 ლარი, რაც 24.2 %-ით მეტია 2021 წლის შესადარის პერიოდთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 65 491 196 ლარს. არსებულ ზრდაზე გავლენა იქონია გაზრდილმა ტვირთბრუნვამ.

Net Revenue	შემოსავალი რეალიზაციიდან	85,980,612	65,134,863
Other Revenue	სხვა საოპერაციო შემოსავლები	411,230	356,333
Total Net Revenue	სულ შემოსავალი	86,391,842	65,491,196



სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

Current Liabilities	მიმდინარე ვალდებულებები		
Trade Payable	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9,280,931	5,653,523
Amount due to related parties	დაკავშირებულ მხარესთან წარმოქმნილი ვალდებულებები	965,044	1,379,692
Short-Term loan	მოკლევადიანი სესხები	4,492,554	4,667,492
Other Current Liabilities	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5,975	7,583
Total Current Liabilities	სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,744,504	11,708,290

Havi ასრულებს გლობალური ბრენდებისთვის მიცემულ პირობას 1974 წლიდან.

45-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობით, ჩვენ გამორჩეულნი ვართ ადგილობრივი ცოდნისა და გლობალური გამოცდილების ძლიერი მხარეების გაერთიანებით სხვადასხვა ინდუსტრიებში და მათ ტემპერატურულ-მგრძნობიარე პროდუქტებში.

თამთა ოსაძე

დირექტორი

14/12/ 2023



სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

Current Liabilities	მიმდინარე ვალდებულებები		
Trade Payable	მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9,280,931	5,653,523
Amount due to related parties	დაკავშირებულ მხარესთან წარმოქმნილი ვალდებულებები	965,044	1,379,692
Short-Term loan	მოკლევადიანი სესხები	4,492,554	4,667,492
Other Current Liabilities	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5,975	7,583
Total Current Liabilities	სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,744,504	11,708,290

Havi ასრულებს გლობალური ბრენდებისთვის მიცემულ პირობას 1974 წლიდან.

45-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობით, ჩვენ გამოჩეულნი ვართ ადგილობრივი ცოდნისა და გლობალური გამოცდილების ძლიერი მხარეების გაერთიანებით სხვადასხვა ინდუსტრიებში და მათ ტემპერატურულ-მგრძნობიარე პროდუქტებში.

თამთა ოსაძე
დირექტორი
14/12/ 2023



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჰავი ლოჯისტიკს“-ის დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს შპს “ჰავი ლოჯისტიკს -ის“ (შემდგომში, „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების (გვ. 16-27) აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2022 საანგარიშგებო წლის მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად (იხილეთ გვ. i - viii), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.14 მენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის შეფასება ძირითად მომხმარებელთან ურთიერთობებზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i - viii) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი, შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

14 დეკემბერი, 2023 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 (ჩასწორებული)
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 7)	2,362,817	3,264,907
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (შენიშვნა 6)	6,583,820	3,359,978
გადახდილი ავანსები	142,846	115,231
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	4,001	6,611
მარაგები (შენიშვნა 5)	8,113,651	5,141,689
სხვა მარაგები	25,706	6,591
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	103,010	62,901
სულ მიმდინარე აქტივები	17,295,742	12,719,114
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	868,158	1,042,102
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	73,262	102,512
სულ გრძელვადიანი აქტივები	941,420	1,144,614
სულ აქტივები	18,237,162	13,863,728
მიმდინარე ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9,280,931	5,653,523
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	799,621	1,379,692
მოკლევადიანი სესხები	4,492,554	4,667,492
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5,975	7,583
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,579,081	11,708,290
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	565,744	565,744
გაუნაწილებელი მოგება	3,092,337	1,589,694
სულ საკუთარი კაპიტალი	3,658,081	2,155,438
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	18,237,162	13,863,728

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:

თამთა ოსაძე, დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი ჩასწორებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	85,980,612	65,134,863
სხვა საოპერაციო შემოსავლები	411,230	356,333
სულ შემოსავალი	86,391,842	65,491,196
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(80,211,498)	(59,888,583)
მიწოდების ხარჯი	(30,171)	(132,627)
სხვა პირდაპირი ხარჯი	(1,015,678)	(881,329)
საერთო მოგება	5,134,495	4,588,657
საოპერაციო ხარჯი		
შრომის ანაზღაურება	(1,216,344)	(717,797)
მივლინების ხარჯი	(20,008)	(27,788)
საიჯარო ქირა	(136,320)	(120,000)
რემონტის ხარჯი	(235,822)	(243,248)
კომპიუტერული ხარჯები	(292,636)	(217,940)
საწვავის ხარჯი	(344,603)	(199,258)
სატრანსპორტო და პარკინგის ხარჯი	(50,138)	(62,782)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(47,939)	(123,111)
დაზღვევა	(54,442)	(56,241)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(834,946)	(56,927)
საოფისე ხარჯი	(92,425)	(99,392)
კომუნალური ხარჯი	(90,599)	(154,525)
დასუფთავების ხარჯი	(57,966)	(38,382)
დაცვის ხარჯი	(23,237)	(20,211)
შენობის მოვლის ხარჯი	-	(593)
სანიტარული ხარჯი	(5,720)	(5,930)
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	(21,575)
მარაგების (დანაკლისი) / ზედმეტობა	(396,031)	(207,824)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,899,176)	(2,373,524)
EBITDA	1,235,319	2,215,133
ცვეთა და ამორტიზაცია	(257,710)	(199,967)
EBIT	977,609	2,015,166
საპროცენტო ხარჯი	(218,658)	(217,306)
საპროცენტო შემოსავალი	94,770	-
როიალტი	(123,702)	(165,424)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	240,505	22,622
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3,040	(11,574)
EBT	973,564	1,643,484
მოგება (ზარალი) სავალუტო კურსთამორისი სხვაობიდან	575,940	1,330,231
საგადასახადო ხარჯი	(46,861)	(6,752)
წმინდა მოგება / (ზარალი)	1,502,643	2,966,963

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:

თამთა ოსაძე, დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	95,433,258	77,743,592
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(84,758,576)	(63,328,410)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	10,674,682	14,415,182
გადახდილი პროცენტები	(223,482)	-
გადახდილი გადასახადები	(10,752,658)	(10,023,898)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(301,458)	4,391,284
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(54,516)	(919,626)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(54,516)	(919,626)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,230,840	-
გადახდილი სესხები	(963,120)	-
საპროცენტო შემოსავალი	94,770	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	362,490	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	6,516	3,471,658
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,264,907	172,965
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(908,606)	(379,716)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,362,817	3,264,907

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:

თამთა ოსაძე, დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	565,744	(1,377,269)	(811,525)
სულ სრული მოგება 2021 წლის განმავლობაში	-	2,966,963	2,966,963
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	565,744	1,589,694	2,155,438
სულ სრული მოგება 2022 წლის განმავლობაში	-	1,502,643	1,502,643
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	565,744	3,092,337	3,658,081

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:


თამთა ოსაძე, დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 (ჩასწორებული)
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 7)	2,362,817	3,264,907
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (შენიშვნა 6)	6,583,820	3,359,978
გადახდილი ავანსები	142,846	115,231
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	4,001	6,611
მარაგები (შენიშვნა 5)	8,113,651	5,141,689
სხვა მარაგები	25,706	6,591
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	103,010	62,901
სულ მიმდინარე აქტივები	17,295,742	12,719,114
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	868,158	1,042,102
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	73,262	102,512
სულ გრძელვადიანი აქტივები	941,420	1,144,614
სულ აქტივები	18,237,162	13,863,728
მიმდინარე ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9,280,931	5,653,523
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	799,621	1,379,692
მოკლევადიანი სესხები	4,492,554	4,667,492
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5,975	7,583
სულ მიმდინარე ვალდებულებები	14,579,081	11,708,290
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	565,744	565,744
გაუნაწილებელი მოგება	3,092,337	1,589,694
სულ საკუთარი კაპიტალი	3,658,081	2,155,438
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	18,237,162	13,863,728

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:

თამთა ოსაძე, დირექტორი




სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი ჩასწორებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	85,980,612	65,134,863
სხვა საოპერაციო შემოსავლები	411,230	356,333
სულ შემოსავალი	86,391,842	65,491,196
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(80,211,498)	(59,888,583)
მიწოდების ხარჯი	(30,171)	(132,627)
სხვა პირდაპირი ხარჯი	(1,015,678)	(881,329)
საერთო მოგება	5,134,495	4,588,657
საოპერაციო ხარჯი		
შრომის ანაზღაურება	(1,216,344)	(717,797)
მიწვლილების ხარჯი	(20,008)	(27,788)
საიჯარო ქირა	(136,320)	(120,000)
რემონტის ხარჯი	(235,822)	(243,248)
კომპიუტერული ხარჯები	(292,636)	(217,940)
საწვავის ხარჯი	(344,603)	(199,258)
სატრანსპორტო და პარკინგის ხარჯი	(50,138)	(62,782)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(47,939)	(123,111)
დაზღვევა	(54,442)	(56,241)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(834,946)	(56,927)
საოფისე ხარჯი	(92,425)	(99,392)
კომუნალური ხარჯი	(90,599)	(154,525)
დასუფთავების ხარჯი	(57,966)	(38,382)
დაცვის ხარჯი	(23,237)	(20,211)
შენობის მოვლის ხარჯი	-	(593)
სანიტარული ხარჯი	(5,720)	(5,930)
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	(21,575)
მარაგების (დანაკლისი) / ზედმეტობა	(396,031)	(207,824)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,899,176)	(2,373,524)
EBITDA	1,235,319	2,215,133
ცვეთა და ამორტიზაცია	(257,710)	(199,967)
EBIT	977,609	2,015,166
საპროცენტო ხარჯი	(218,658)	(217,306)
საპროცენტო შემოსავალი	94,770	-
როიალტი	(123,702)	(165,424)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	240,505	22,622
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3,040	(11,574)
EBT	973,564	1,643,484
მოგება (ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	575,940	1,330,231
საგადასახადო ხარჯი	(46,861)	(6,752)
წმინდა მოგება / (ზარალი)	1,502,643	2,966,963

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:


თამთა ოსაძე, დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	95,433,258	77,743,592
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(84,758,576)	(63,328,410)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	10,674,682	14,415,182
გადახდილი პროცენტები	(223,482)	-
გადახდილი გადასახადები	(10,752,658)	(10,023,898)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(301,458)	4,391,284
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/შემნებლობა	(54,516)	(919,626)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(54,516)	(919,626)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1,230,840	-
გადახდილი სესხები	(963,120)	-
საპროცენტო შემოსავალი	94,770	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	362,490	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	6,516	3,471,658
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	3,264,907	172,965
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(908,606)	(379,716)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	2,362,817	3,264,907

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:


 თამთა ოსაძე, დირექტორი



შპს "ჰავი ლოჯისტიკს"

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	565,744	(1,377,269)	(811,525)
სულ სრული მოგება 2021 წლის განმავლობაში	-	2,966,963	2,966,963
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	565,744	1,589,694	2,155,438
სულ სრული მოგება 2022 წლის განმავლობაში	-	1,502,643	1,502,643
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	565,744	3,092,337	3,658,081

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერი:


 თამთა ოსაძე, დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

"ჰავი ლოჯისტიკა" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2019 წლის სექტემბერში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406290525.

კომპანიის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს სატრანსპორტო - საექსპედიტორო მომსახურება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 565,744 ლარს (2020:

565,744 ლარი) და კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს "ჰავი გლობალ ლოჯისტიკა" (HRB 3193, გერმანია).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი (ნაკვ. 05/001)

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

2.1. მომზადების საფუძველი

წინააღმდეგარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

მსს ფასს-ს შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული საადრიცხო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის პროცესში წამოჭრილი გადაწყვეტილებების განხორციელების მართვას. საკითხები, რომლებიც შეიცავს გარკვეულ სირთულეებს ან საკითხები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებული შენიშვნა 2.14-ში.

2.2. წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა შესადარისი პერიოდის ციფრების ჩასწორება. თუმცა წინა პერიოდის - 2021 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. ჩასწორების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31-დეკ-2021 (ჩასწორებული)	ჩასწორება	31-დეკ-2021 (ჩასწორებამდე)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,359,978	(6,259,113)	9,619,091
მარაგები	5,141,689	659,497	4,482,192
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები	824,107	104,819	719,288
არამატერიალური აქტივები	102,512	15,984	86,528
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5,653,523	(5,204,106)	10,857,629
გაუნაწილებელი მოგება	1,589,694	(274,707)	1,864,401
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2021 წელი (ჩასწორებული)	ჩასწორება	2021 წელი (ჩასწორებამდე)
შემოსავალი რეალიზაციიდან	65,134,863	(7,006)	65,141,869
სხვა პირდაპირი ხარჯი	(881,329)	(582,329)	(299,000)
ცვეთა და ამორტიზაცია	(199,967)	9,555	(209,522)
მოგება (ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	1,330,231	298,644	1,031,587

2.3. უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს, და ქართულ ლარსა და ევროს შორის, იხილეთ ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

2.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით (გაუფასურების ზარალით, თუ ამგვარს ადგილი ექნება).

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის (რომელიც კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებებისათვის არსებითად სამიდან ხუთ წლამდეა) განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლი მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

სასარგებლო
მომსახურების
ვადა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი
საოფისე ინვენტარი	2-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-5 წელი
მანქანა-დანადგარები	2-8 წელი
სხვა	5 წელი

2.5. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

2.6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებაა მომხმარებლისგან მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.8. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღე ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ს მიმართ, დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღე-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღე-ს ჩათვლით.

2.9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგენილება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავლები გაწეულ მომსახურებას და მიწოდებულ საქონელზე აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ხდება მიწოდება.

შემოსავლის გაზომვა ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რელური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხების ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

2.11. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.12. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.13. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადახდის უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას.

კომპანიის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც “სხვა ფინანსური ვალდებულებები” და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

2.14. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

კომპანია როგორც მარწმუნებელი შპს „თჰკ რესტორნებ“-თან ურთიერთობაში. კომპანიის გაყიდვების 99.8% უკავშირდება შპს „თჰკ რესტორნები“-თან (McDonalds-ის კვების ქსელის ოპერატორი საქართველოში) არსებულ მომსახურების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც:

- კომპანია უწევს შპს „თჰკ რესტორნებ“-ს ლოჯისტიკურ მომსახურებას საქართველოს მასშტაბით;
- კომპანია, შპს „თჰკ რესტორნები“-სათვის, ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული მომწოდებლებისაგან, მისივე ხელშეკრულებების ფარგლებში, უზრუნველყოფს, კომპანიის მიერ შემუშავებული და შპს „თჰკ რესტორნებ“-თან შეთანხმებული ალგორითმით განსაზღვრული ოდენობების საქონლის შესყიდვის, ტრანსპორტირების, შენახვისა და დადგენილი გრაფიკით - შპს „თჰკ რესტორნებ“-ის კვების ინდივიდუალური ობიექტებისათვის - მიწოდების მომსახურებას;

- შპს „თ&კ რესტორნები“ საქონლის მომწოდებლებთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობების დარღვევით, საქონლის ბუნებრივი გაფუჭებით, ან მისი კვების ობიექტების მიერ საქონლის გაამიზნული რაოდენობებით ვერ მოხმარების გამო მიღებულ ზიანს უნაზღაურებს შპს „ჰავი ლოჯისტიკა“-ს, ისევე როგორც შესყიდული საქონლის თვითღირებულებას;
- ამასთანავე, ლოჯისტიკური მომსახურების პროცესში, ფორმალური დოკუმენტრუნვა, აგებულია იმგვარად, რომ შპს „ჰავი ლოჯისტიკა“ თავისი სახელით უკვეთავს საქონელს, შპს „თ&კ რესტორნები“-სა და საქონლის მომწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, თავადვე ანბაჟებს და საქონლის გადაცემას შპს „თ&კ რესტორნები“-ისათვის ახდენს უშუალოდ კონკრეტულ კვების ობიექტში მიწოდების მომენტში.

კომპანია მიიჩნევს, რომ ყველა პრაქტიკული მიზნებისათვის, შპს „თ&კ რესტორნები“-თან ლოჯისტიკური მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, ამავდროულად წარმოადგენს მარწმუნებელს, როგორც საქონლის მიმწოდებელი. შესაბამისად, ამ ურთიერთობის ფარგლებში მიწოდებული საქონელი განიხილება როგორც მათი რეალიზაცია. წარდგენილ ამონაგებზე, კომპანიის მარწმუნებლად განხილვის ეფექტი დაახლოებით 80 მილიონი ლარია (2021: 60 მილიონი).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
ისტორიული ღირებულება	-	233,316	97,241	96,912	-	427,469
დაგროვილი ცვეთა	-	(89,499)	(41,049)	(3,721)	-	(134,269)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	143,817	56,192	93,191	-	293,200
2021 წლის ცვლილებები:						
შეძენები	756,693	34,735	103,750	15,498	8,950	919,626
გასვლები	-	(523)	-	-	-	(523)
ცვეთის ხარჯი	(39,982)	(57,514)	(51,863)	(20,245)	(597)	(170,201)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	716,711	120,515	108,079	88,444	8,353	1,042,102
2021 წლის 31 დეკემბერი						
ისტორიული ღირებულება	756,693	267,528	200,991	112,410	8,950	1,346,572
დაგროვილი ცვეთა	(39,982)	(147,013)	(92,912)	(23,966)	(597)	(304,470)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	716,711	120,515	108,079	88,444	8,353	1,042,102
2022 წლის ცვლილებები:						
შეძენები	-	21,767	-	32,749	-	54,516
გასვლები	-	(523)	-	-	-	(523)
ცვეთის ხარჯი	(108,099)	(60,323)	(32,419)	(25,306)	(1,790)	(227,937)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	608,612	81,436	75,660	95,887	6,563	868,158
2022 წლის 31 დეკემბერი						
ისტორიული ღირებულება	756,693	288,772	200,991	145,159	8,950	1,400,565
დაგროვილი ცვეთა	(148,081)	(207,336)	(125,331)	(49,272)	(2,387)	(532,407)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	608,612	81,436	75,660	95,887	6,563	868,158

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი			
ისტორიული ღირებულება	7,378	144,300	151,678
დაგროვილი ცვეთა	(1,518)	(18,406)	(19,924)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	5,860	125,894	131,754
2021 წლის ცვლილებები:			
შეძენები	-	-	-
გასვლები	-	-	-
ამორტიზაცია	(1,746)	(27,496)	(29,242)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	4,114	98,398	102,512

	ლიცენზიები	სხვა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი			
ისტორიული ღირებულება	7,378	144,300	151,678
დაგროვილი ცვეთა	(3,264)	(45,902)	(49,166)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერს	4,114	98,398	102,512
2022 წლის ცვლილებები:			
შეძენები	-	-	-
გასვლები	-	-	-
ამორტიზაცია	(1,746)	(27,504)	(29,250)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,368	70,894	73,262
2022 წლის 31 დეკემბერი			
ისტორიული ღირებულება	7,378	144,300	151,678
დაგროვილი ცვეთა	(5,010)	(73,406)	(78,416)
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,368	70,894	73,262

შენიშვნა 5. მარაგები

	31-დეკ22	31-დეკ-21
საკვები	5,365,863	2,647,681
შესაფუთი მასალები	961,245	645,481
საყოფაცხოვრებო საქონელი	871,402	501,030
არა სასურსათო საქონელი	852,653	611,325
სხვა საქონელი	62,488	76,675
სულ მარაგები	8,113,651	4,482,192

შენიშვნა 6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
შპს თ და კ რესტორნები	6,486,591	3,321,773
სხვა	97,229	38,205
სულ	6,583,820	3,359,978

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
საბანკო ნაშთები ეროვნულ ვალუტაში	2,350,167	3,264,871
საბანკო ნაშთები ვალუტაში	12,650	36
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2,362,817	3,264,907

შენიშვნა 8. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული მესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

31-დეკ-2022

31-დეკ-2021

ხელმძღვანელობა

შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი

177,399

142,039

შენიშვნა 9. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 14 დეკემბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

